დავით ჩიკვაიძე

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის

კონსტიტუციური შეთანხმების

კ ო მ ე ნ ტ ა რ ე ბ ი

თბილისი

2005

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის 2002 წლის 14 ოქტომბერს მცხეთაში ხელმოწერილ კონსტიტუციურ შეთანხმებას. კომენტარი საინტერესო იქნება იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, იურისტებისა და სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: ნანული კორძაია-სამადაშვილი,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

რეცენზენტი: დავით ბოსტოღანაშვილი,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

წიგნი რეცენზირებულია საქართველოს სამოციქულო
ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის
გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ
28.11.2005 სრ №55

დეპარტამენტის თავმჯდომარე

ფოთისა და ხობის მთავარეპისკოპოსი

ISBN 99940-727-7-3

© დავით ჩიკვაიძე 2003 წ.

რედაქტორისაგან

ხანგრძლივი მომზადებისა და განხილვის შემდეგ, 2002 წლის 14 ოქტომბერს მცხეთის სვეტიცხოველის საკათედრო ტაძარში ხელი მოეწერა კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. ასეთი შეთანხმება თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის დარეგულირების ერთ-ერთ ყველაზე მისაღებ ფორმადაა მიჩნეული. კომუნისტური რეჟიმის პერიოდში სახელმწიფოსა და ეკლესიის დამოკიდებულება ძალიან შორს იდგა დემოკრატიული პრინციპებისაგან. ფაქტიურად ეკლესია დათრგუნული იყო სახელმწიფოს მხრიდან და მათ შორის ცივილიზებულ ურთიერთობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ამ შეთანხმების ხელმოწერით დაიწყო ახალი ეტაპი საქართველოს მრავალსაუკუნოვანი მართლმადიდებელი ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულებაში.

წინამდებარე კომენტარი წარმოადგენს კონსტიტუციური შეთანხმების ავტორისეულ გააზრებას. მის ავტორს – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტ დავით ჩიკვაიძეს მიუხედავად ახალგაზრდობისა, საეკლესიო სამართალი მაღალ დონეზე აქვს გააზრებული.

დავით ჩიკვაიძე დაიბადა ქ. თბილისში 1983 წელს. 2001 წელს მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის 57-ე საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თსუ იურიდიულ ფაკულტეტზე. იგი პირველი კურსიდანვე დაინტერესდა სამართლის ისტორიით და კერძოდ, საეკლესიო სამართლის შესწავლით. აღნიშნულ საკითხებს მან მიუძღვნა რამდენიმე შესანიშნავი საკონფერენციო თემა. 2002 წლიდან მუშაობს დიდი სჯულისკანონის იურიდიული მიმართულებით შესწავლაზე. მიმდინარე წელს დავით ჩიკვაიძემ წარმოადგინა საკონფერენციო თემა სახელწოდებით "შეცოდებათა (საეკლესიო დანაშაულთა) სახეები ათორმეტთა მოცი-

ქულთა და მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონების მიხედვით", რომელმაც მაღალი შეფასება დაიმსახურა თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენციაზე. ასევე, ა.წ. 1-2 მაისს საქართველოს საპატრიარქოს მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციაზე სახელწოდებით "აფხაზეთის საკათალიკოსოს ისტორია – გზა ქრისტიანობისა დასავლეთ საქართველოში" მან წარმოადგინა თემა "აფხაზეთის საკათალიკოსოში მოქმედი საეკლესიო სამართლის ძეგლები".

2002 წლიდან დავით ჩიკვაიძეს საპატრიარქოს რადიო "ივერიის" ეთერში მიჰყავს გადაცემათა ციკლი "საეკლესიო სამართალი", რომელიც უახლოეს პერიოდში ცალკე წიგნად გამოიცემა. სამეცნიერო მუშაობის წარმატებით წარმართვაში დავით ჩიკვაიძეს ხელს უწყობს დიდი ერუდიცია და ღრმა წიგნიერება, კოლოსალური შრომისმოყვარეობა და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, უცხო ენების ცოდნა. ამჟამად იგი ფლობს ინგლისურ, რუსულ, თურქულ, უკრაინულ, ბერძნულ და აზერბაიჯანულ ენებს,აგრეთვე ლათინურსა და ძველბერძნულს.

დასასრულ, გამოვთქვამთ იმედს, რომ კიდევ უფრო გაღრმავდება საეკლესიო სამართლის შესწავლა კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე მისი მოქმედ სამართლად აღიარების შემდეგ და ფართო საზოგადოება დაინტერესდება აღნიშნული დარგით.

ნანული კორძაია-სამადაშვილი

შესავალი

„მიეცით კეისარს კეისრისა და ღმერთს ღმრთისა“
(მთ. 22; 21).

სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მართლმადიდებლურ მოძღვრებაში. ამავე დროს პოზიტიურ სამართალში ეკლესიის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება იქედანაც ვლინდება, რომ თითქმის ყველა ქრისტიანულ სახელმწიფოში ეკლესიას მინიჭებული ჰქონდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი. ქრისტიანული ქვეყნების მეთაურები ყოველთვის გრძნობდნენ დიდ პასუხისმგებლობას ეკლესიის წინაშე და ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ მისი საქმიანობისათვის. ამგვარი სულის-კვეთების კანონები დღესაც აქვთ ევროპულ სახელმწიფოებს. თანამედროვე დემოკრატია ნიშნავს იმას, რომ უმაღლეს დონეზე იქნეს უზრუნველყოფილი მოქალაქეთა მოთხოვ-ნილებები, სადაც სულიერ მოთხოვნილებებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ.

საქართველოს სამეფოში ეკლესიის მიმართ საგან-გებო კანონები არსებობდა. წმ. მეფე დავით აღმაშენებლის დროს მწიგნობართუხუცესის უმაღლესი სამოხელეო თანამდებობა გადაეცა სასულიერო პირს – ჭყონდიდელ მღვდელმთავარს, რითაც უფრო შემჭიდროვდა და დაახლოვდა სახელმწიფო და ეკლესია. ის მშვიდობიანი და ჰარმონიული დამოკიდებულება, რაც არსებობდა საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, დაარღვია რუსეთის იმპერიამ, რომელმაც 1801 წელს გააუქმა უძველესი ქართული სახელმწიფოებრიობა, ხოლო კანონიკური სამართლის სრული უგულებელყოფით 1811 წელს გააუქმა იერიის მრავალსაუკუნოვანი ეკლესიის ავტოკეფალია. ყოველივე ამან გამოიწვია ქართველი ხალხის გაუცხოება, ზოგადად, სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების მიმართ. ასევე გაჩნდა არასათანადო დამოკიდებულება ეკლესიის მიმართაც, ვინაიდან საქართველოს მოსახლეობის

დიდი ნაწილი ეკლესიას აღიქვამდა, როგორც რუსეთის იმპერიალისტური იდეოლოგიის რუპორს საქართველოში.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას (1918 წლის 26 მაისი) ამ კუთხით დადებითი ძვრა არ მოჰყოლია. 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციამ სახელმწიფო და ეკლესია განაცალკევა, ხოლო ყველა სარწმუნოებას თანაბარი უფლებები მიანიჭა (მუხ. 142, 143). საქართველოს გასაბჭოებას მოჰყვა ათეიზმის 70-წლიანი ეპოქა, როცა საკვლევით უგულებელყოფილი იყო ადამიანის სარწმუნოებრივი მისწრაფებები.

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ „რეფერენდუმზე (ამავე წლის 31 მარტი) გამოხატული ხალხის ნების გათვალისწინებით გამოაცხადა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აღდგენა". ამასთან დაკავშირებით ცვლილებები შეეიდა საქართველოს კონსტიტუციაში. კერძოდ, ამოღებულ იქნა ის დებულება, რომელიც სკოლებს გამოყოფდა ეკლესიისაგან, თუმცა თავად ეკლესია კვლავაც სახელმწიფოსაგან გამოყოფილად დარჩა. ეს რეალურად არაფრის მომცემი არ იყო, მაგრამ ამით ეროვნულმა მთავრობამ დაადასტურა თავისი კეთილგანწყობა ეკლესიის მიმართ.

1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მე-9 მუხლში ჩაიწერა, რომ „სახელმწიფო ცნობს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში". ამით კონსტიტუციამ უპირატესობა მიანიჭა ეკლესიას სხვა კონფესიებთან შედარებით. 2001 წლის 30 მარტის ცვლილებით მე-9 მუხლს დაემატა მე-2 პუნქტი, სადაც მიეთითა, რომ ურთიერთობა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის მოწესრიგდებოდა კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე.

მართლაც, 2002 წლის 14 ოქტომბერს, მცხეთის სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში საქართველოს პრეზიდენტმა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ხელი მოაწერეს კონსტიტუციურ შეთანხმებას

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. ეს დოკუმენტი, კონსტიტუციის მე-6 მუხლით ქვეყნის უმაღლესი რანგის ნორმატიული აქტია თავად კონსტიტუციის შემდეგ. იმ აზრის გასაფანტად, თითქოს დღესდღეობით საქართველო მზად იყო მართლმადიდებლობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხდებისთვის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II ბრძანა: „მინდა აღვნიშნო, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა თანამედროვე ეტაპზე განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს, რაც განპირობებულია ქვეყნის შიდაპოლიტიკური მოწყობით და, ასევე, საერთაშორისო სიტუაციის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ყველაზე მისაღებ ფორმად მიჩნეულ იქნა კონსტიტუციური შეთანხმება“.

ეს შეთანხმება მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი საქმისა, რაც ევალებათ ქართველი ერის, საქართველოს მოსახლეობის წინაშე სახელმწიფოსა და ეკლესიას. იგი წარმოადგენს ერთგვარ პროგრამას, რომელზედაც უნდა დაეფუძნოს მათი საქმიანობა. „დღეს ჩვენ ყველამ კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობა უნდა ვიკისროთ ღმრთის, ერთმანეთის, საზოგადოების წინაშე და ეს ჩვენ ბევრს გვავალებს.“ (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II მიერ 2002 წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოველში წარმოთქმული სიტყვიდან).

კომენტარები

მუხლი 1

1. სახელმწიფო და ეკლესია ადასტურებენ მზადყოფნას, ითანამშრომლონ ურთიერთდამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით,ქვეყნის მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

2. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან დადონ შეთანხმებები ერთობლივი ინტერესების სხვადასხვა სფერში, რომელთა განხორციელების მიზნითაც მხარეთა მიერ მიიღება შესაბამისი აქტები.

3. ეკლესია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის სუბიექტს, – სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სრულუფლებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საეკლესიო (კანონიკური) სამართლის ნორმებით, საქართველოს კონსტიტუციის, ამ შეთანხმებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ეკლესიას სპეციალური უფლებამოსილების გარეშე წარმოადგენენ: საეკლესიო კრება, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წმიდა სინოდი და საქართველოს საპატრიარქო (ქორეპისკოპოსისა და მდივნის სახით), ხოლო სამართლებრივ ურთიერთობებში უფლებამოსილებას ანიჭებს კათოლიკოს-პატრიარქი.

5. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ხელშეუვალია.

6. როგორც წესი, დიდი საეკლესიო დღესასწაულები და კვირა დასვენების დღეებად ცხადდება.

1. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობას ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. შეიძლება იდეალურიც კი ეწოდოს იმ ქვეყანას, სადაც სათანადო დონეზეა დარეგულირებული ურთიერთობა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. ადამიანისთვის, რომე-

ლიც სულისა და სხეულისაგან შედგება, უცილობლივ საჭიროა შესაბამისი პირობები თითოეულის განსავითარებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანმა შეიძლება ღვთის ხატება დაკარგოს და ცხოველსაც კი მიემსგავსოს. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ სულის განვითარებაზე ზრუნვა ეკლესიას ევალება, სხეულისაზე – სახელმწიფოს.

ხშირად სახელმწიფოსა და ეკლსიის ურთიერთდამოკიდებულებას ადარებენ ძე ღვთისას ორ ბუნებას: ღვთურსა და ადამიანურს. სახელმწიფო და ეკლესია უნდა იყვნენ ერთიანი და ამავე დროს შეურევნელი, როგორც ღმრთაებრივი და კაცობრივი ბუნება ქრისტეში. სწორედ ეს ქრისტიანული ჭეშმარიტებაა გამოხატული კონსტიტუციური შეთანხმების პრეამბულასა და 1-ლი მუხლის 1-ლ პუნქტში.

2. ეკლესია, რომელიც ზეციურ სამეფოს განასახიერებს, არ შეიძლება განიხილებოდეს წარმავალი სამეფოს, ანუ სახელმწიფოს თანასწორად. თუმცა აქვე უნდა გავიხსენოთ ზემოთთქმულის საპირისპირო დებულება, რომ სახელმწიფოს ამქვეყნად ენიჭება უპირატესობა, ვინაიდან იგი არის მიწიერ წესებზე შექმნილი და სწორედ იმ სულისკვეთებას განასახიერებს, რაც დედამიწაზე მოკვდავ ადამიანთა შორის არსებობს და რომ ეკლესიის პირველობა მხოლოდ ზეცაშია. ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არ არსებობს უპირატესი. ორივეს აქვთ საკუთარი მოვალეობანი ადამიანთა წინაშე, რითაც უპირატესობა ენიჭებათ ერთიმეორის მიმართ.

კონსტიტუციური შეთანხმება უმაღლესი რანგის იურიდიული დოკუმენტია. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის თანახმად მას უნდა შეესაბამებოდეს როგორც სახელმწიფოს ყველა კანონი, ისე საქართველოს უმაღლესი ორგანოების მიერ ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები. მასზე მაღლა მხოლოდ საქართველოს კონსტიტუცია დგას. შეთანხმებაში მოცემულია მხოლოდ ზოგადი კონსტიტუციური დებულებები, ხოლო აღნიშნული დებულებების კონკრეტული მოწესრიგებისათვის სახელმწიფომ აუცილებლად უნდა მიიღოს შესაბამისი კანონები. რაღა თქმა უნდა, სახელმწიფოსა და ეკლესიას უფლება აქვთ დადონ შეთანხმებები ერთობლივი ინტერესების სხვადასხვა სფეროებში, რომლებიც აღნიშნულია ამ შეთანხმების შემდგომ მუხლებში.

3. ამ პუნქტით სახელმწიფომ ეკლესია აღიარა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად. საჯარო სამართლის იურიდიული პირი ეწოდება ისეთ ორგანიზაციას, რომლის საქმიანობა მიმართულია სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების გადასაწყვეტად. საქართველოში საჯარო სამართლის იურიდიული პირები, გარდა სამინისტროებისა (დეპარტამენტებისა) და ეკლესიისა, არიან პოლიტიკური პარტიები და პროფესიული კავშირები. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლში მოცემული დებულება, რომ სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის განსაკუთრებულ მნიშვნელობას საქართველოსათვის. იურისპრუდენციაში არსებული განმარტებიდან გამომდინარე საჯარო სამართლის იურიდიულ პირს სახელმწიფო აყალიბებს ან იქმნება კანონის საფუძველზე, ამიტომ ეკლესიას საჯარო სამართალში ეძლევა განსაკუთრებული იურიდიული პირის სტატუსი.

სახელმწიფო აღიარებს, რომ ეკლესია თავის საქმიანობას წარმართავს საეკლესიო (კანონიკური) სამართლის საფუძველზე საქართველოს კონსტიტუციის, კონსტ-

იტუციური შეთანხმებისა და კანონმდებლობის შესაბამისად. აქ ორი საკითხია გამოსარკვევი: პირველი – საეკლესიო სამართლის განმარტება, მეორე კი მისი მოქმედება პირთა წრის მიმართ.

მართლმადიდებელი სარწმუნოების მიხედვით საეკლესიო სამართალი ეწოდება სამართალს, რომელიც აწესრიგებს ურთიერთობას ეკლესიასა და მრევლს (მის წევრებს) შორის. საეკლესიო სამართლის ნორმები გადმოცემულია როგორც წმიდა წერილში, ისე სამართლებრივ ძეგლებში. ზოგადად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია შემდეგ იერარქიას ადგენს საეკლესიო სამართლის პირდაპირი თუ არაპირდაპირი წყაროებისთვის:

1. წმიდა წერილი და წმიდა გარდამოცემა
2. მოციქულთა კანონები
3. მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონები
4. ადგილობრივ საეკლესიო კრებათა კანონები

<u>წმიდა წერილში</u> მოიაზრება მთელი ბიბლია. ნორმათა კოლიზიის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ახალ აღთქმას. ახალ აღთქმაში ნორმათა კოლიზიის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სახარებას. <u>წმიდა გარდამოცემა</u> ეწოდება ეკლესიის წიაღში არსებულ ცნობებს უფლის, ღვთისმშობლის, მოციქულების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

<u>მოციქულთა კანონები</u> ეწოდება დიდ სჯულისკანონში მოცემულ ამავე სახელწოდების ძეგლს და აგრეთვე მოციქულთა თავთა წმ. წმ. პეტრესა და პაველს მიერ შედგენილ განწესებებს.

<u>მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონებში</u> უნდა ვიგულისხმოთ იმ 7 საეკლესიო კრების კანონები, რომლებსაც აღიარებს ქრისტეს ჭეშმარიტი ეკლესია. ესენია ნიკეის I, კონსტანტინოპოლის I, ეფესოს, ქალკედონის, კონსტანტინოპოლის II, კონსტანტინოპოლის III, ნიკეის II კრებები და მათი კანონები.

<u>მართლმადიდებელი ეკლესიების ადგილობრივ კრებათა კანონთაგან</u> ჩვენი ეკლესია აღიარებს იმათ, რომლებიც შედიან დიდ სჯულისკანონში და რომელთაც ზოგადმართლმადიდებლური მნიშვნელობა ენიჭებათ. ადგილობრივ საეკლესიო კრებათა კანონებში საქართველოს ეკლესიის ადგილობრივ კრებათა კანონებიც უნდა ვიგულისხმოთ (მაგ. რუის-ურბნისის ძეგლისწერა, კათალიკოსთა სამართალი და სხვა).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ <u>კანონიკური სამართალი</u> არაა საეკლესიო სამართლის ზუსტი შესატყვისი, რადგან იგი მხოლოდ საეკლესიო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ურთიერთობებს აწესრიგებს. ფაქტობრივად, კანონიკური სამართალი = საეკლესიო სამართალს – წმ. წერილი.

რაც შეეხება საეკლესიო სამართლის მოქმედებას პირთა წრის მიხედვით აქ ყურადსაღებია ეკლესიის საგარეო ურთიერთობა და საშინაო ურთიერთობა, ანუ ურთიერთობა ეკლესიის წევრებთან. საგარეო ურთიერთობებისთვის (აქ უნდა ვიგულისხმოთ, ძირითადად, ურთიერთობა საერო ხასიათის დაწესებულებებთან, მაგ. სამინისტროებთან, ორგანიზაციებთან, საკუთრივ სახელმწიფოსთან, სხვა სახელმწიფოს მსგავსივე ორგანოებთან) სახელმწიფო ზღუდავს კანონიკური სამართლის ფარგლებს და მას "კონსტიტუციურ ჩარჩოში" სვამს. თუმცა, ამ პუნქტით, რაღა თქმა უნდა, სახელმწიფო არ ზღუდავს კანონიკური სამართლის მოქმედებას ეკლესიის შიდა საქმიანობაში, ანუ ურთიერთობაში მის მრევლთან, სამღვდელოებასთან, სამონაზონო დასთან. მაგალითად, საეკლესიო სამართლით, ეკლესიის მეთაური (ჩვენს შემთხვევაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) ითვლება სახელმწიფოს მეთაურის თანასწორად. ეს ნორმაა საეკლესიო სამართლისა. თუმცა, რაღა თქმა უნდა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ვერ მოთხოვს უცხო სახელმწიფოს მეთაურს, რომ კათოლიკოს-პატრიარქი საქართველოს პრეზიდენტის

თანასწორად მიიღონ. ამავე დროს, ვერც სახელმწიფო მოთხოვს ეკლესიას, ვთქვათ, ქალები აკურთხონ ღვთისმსახურებად, ვინაიდან, მართალია, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით აღიარებულია საქართველოს მოქალაქეთა თანასწორობა, მაგრამ კანონიკური სამართლით აკრძალულია ქალთა ღვთისმსახურებად კურთხევა.

4. შეთანხმების ამ პუნქტში აღნიშნულია, რომ განსაზღვრული პირები ეკლესიას წარმოადგენენ სპეციალური უფლებამოსილების გარეშე. განვმარტოთ თითოეული მათგანი.

<u>საეკლესიო კრება</u> არის საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო. მისი სინონიმია საქართველოს ეკლესიის <u>წმიდა სინოდი</u> (სინოდი ბერძნულია: ქართულად – წმიდა კრება), ოღონდ იმ განსხვავებით, რომ საეკლესიო კრებაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა შეიძლება მიიღონ წმ. სინოდის მიერ მოწვეულმა გარეშე პირებმაც (როგორც საერო, ისე სასულიერო), ხოლო წმ. სინოდის სხდომებში მონაწილეობენ მხოლოდ საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრები. თუმცა ხმის მიცემის უფლება ორივე შემთხვევაში მხოლოდ ეპისკოპოსებს აქვთ.

<u>სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი</u> არის საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელი და მისი კანონიკური მმართველი. მისი სრული ტიტულია: უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, დიდი მეუფე, მამაი ჩვენი (სახელი). ამგვარად, კათოლიკოს-პატრიარქი ამავე დროს არის მცხეთისა და თბილისის ეპარქიის მმართველი.

<u>საქართველოს საპატრიარქო</u> არის იმ დაწესებულებათა ერთობლიობა, რომლებიც უშუალოდ ექვემდება-

რებიან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს. საპატრიარქო შედგება განყოფილებებისაგან და სამსახურებისაგან, რომლებიც წარმოადგენენ იურიდიულ პირებს.

ქორეპისკოპოსი, სულხან-საბას განმარტებით ნიშნავს „უსამწყსოო ეპისკოპოსს", ანუ ისეთ ეპისკოპოსს, რომელსაც აქვს მღვდელმთავრის ხარისხი, მაგრამ არ ჰყავს მრევლი, ანუ არ მართავს არცერთ ეპარქიას. ადრე ქორეპისკოპოსები ყველა ეპარქიის მღვდელმთავარს ჰყავდა. დღესდღეობით ქორეპისკოპოსი არის თანაშემწე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა.

ამჟამად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი არის მაღალყოვლადუსამღვდელოესი, ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მთავარეპისკოპოსი თეოდორე (ჭუაძე).

კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი არის მისი თანაშემწე, რომელიც ასრულებს კათოლიკოს-პატრიარქის უშუალო დავალებებს. ამჟამად მისი უწმიდესობის მდივანი არის დეკანოზი მიქაელ ბოტკოველი.

5. საქართველოს კანონმდებლობით მნიშვნელოვან თანამდებობის პირებს (მაგ. პრეზიდენტს, დეპუტატებს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და ა. შ.) მინიჭებული აქვთ ხელშეუვალობის უფლება, ანუ ე. წ. იმუნიტეტი. დაუშვებელია ასეთი უფლების მქონე პირთა დაპატიმრება ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა სპეციალური ნებართვის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა. კონსტიტუციური შეთანხმების მე-5 პუნქტმა იგივე უფლებები მიანიჭა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს.

6. ისტორიულად, საქართველოში ათორმეტივე საუფლო დღესასწაული დასვენების დღედ ითვლებოდა. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ინიციატივით კომუნისტური ხელისუფლების დამხობის პირველ დღეებშივე გაუქმდა "ქართველი ერისთვის უცხო დღესასწაულები და აღდგა ტრადიციული დღესასწაულები". თუმცა, უდიდეს საუფლო დღესასწაულთაგან ყველა არ გამოცხადებულა სახელმწიფო დღესასწაულად. შეთანხმების ამ მუხლმა სახელმწიფო დღესასწაულად ცნო ათორმეტივე საუფლო დღესასწაული (თავისთავად ცხადია აღდგომაც, რომელიც ათორმეტ დღესასწაულებში არ შედის) და კვირა დღე, როგორც სახე ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომისა. ასევე დასვენების დღეებად გამოცხადდა საქართველოს ეკლესიის დამაარსებლის, წმ. ანდრია პირველწოდებულისა და ქართველთა განმანათლებლის, მოციქულთასწორ წმ. ნინოს ხსენების დღეები, წითელი პარასკევი და დიდი შაბათი.

ამგვარად, ოფიციალურ დღესასწაულებად გამოცხადდა (ჩამონათვალში მითითებულია აქამდე დასვენების დღეებად გამოცხადებული ყველა საეკლესიო დღესასწაული):

1. უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს განცხადების დღენათლისღება – 6(19) იანვარს;

2. ქართველთა განმანათლებლის, მოციქულთასწორის წმ. ნინოს ხსენების დღე – 14(27) იანვარს;

3. უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მირქმა-მიგებების დღე – 2(15) თებერვალს;

4. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების დღე – 25 მარტს (7 აპრილს);

5. უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს იერუსალიმში დიდებით შესვლის დღე – ბზობა (თარიღი გარდამავალია, აღდგომის წინა კვირა დღე);

6. უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ჯვარცმის დღე-წითელი პარასკევი (თარიღი გარდამავალია, აღდგომის წინა პარასკევი);

7. დიდი შაბათი (თარიღი გარდამავალია, აღდგომის წინა დღე);

8. ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (თარიღი გარდამავალია);

9. მიცვალებულთა მოხსენიების დღე (თარიღი გარდამავალია, აღდგომის მომდევნო დღე);

10. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის დამაარსებლის, წმ. ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე – 29 აპრილი (12 მაისი);

11. უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ამაღლების დღე (თარიღი გარდამავალია, აღდგომიდან მე-40 დღე);

12. სულთმოფენობის დღე (თარიღი გარდამავალია, აღდგომიდან 50-ე დღე);

13. უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ფერისცვალების დღე – 6(19) აგვისტოს;

14. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღე-მარიამობა – 15(28) აგვისტოს;

15. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის დღე-ღვთისმშობლობა – 8(21) სექტემბერს;

16. ცხოველსმყოფელი ჯვრის ამაღლების დღე-ჯვართ-ამაღლება – 14(27) სექტემბერს;

17. სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძრის დღესასწაული-მცხეთობა – 1(14) ოქტომბერი;

18. საქართველოს მფარველის, წმ. გიორგის ხსენების დღე-გიორგობა – 10(23) ნოემბერი;

19. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღე – 21 ნოემბერს (4 დეკემბერს);

20. უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღე-ქრისტეშობა – 25 დეკემბერს (7 იანვარს).

მუხლი 2

სახელმწიფო მხარს უჭერს აღსარებისა და საეკლესიო საიდუმლოს დაცვას. სასულიერო პირი ვალდებულია არ გასცეს ინფორმაცია, რომელიც მას, როგორც სულიერ

მოძღვარს, გაანდეს ან მისთვის, როგორც სასულიერო პირისათვის, გახდა ცნობილი.

ეს მუხლი ეხება საეკლესიო საიდუმლოების ყველა სახეს. საიდუმლოებში უნდა ვიგულისხმოთ საიდუმლო თავისი კლასიკური და არა ეკლესიური გაგებით. ეკლესიური გაგებით ტერმინ საიდუმლოში მოიაზრება ის საღვთო მსახურებანი, რომლის დროსაც მორწმუნეზე უხილავად გადმოდის მადლი სულისა წმიდისა. სწორედ ამიტომ ეწოდებათ მათ საიდუმლო. მართლმადიდებელი ეკლესია აღიარებს შვიდ საიდუმლოს: ნათლისღებას, მირონცხებას, სინანულს (აღსარებას), ზიარებას, ჯვრისწერას, ზეთის კურთხევას და მღვდლობას.

კომუნისტური ხელისუფლების დროს, ე. წ. „წითელი სამღვდელოების" მიერ ხშირად ხდებოდა მორწმუნე აღმსარებლის დაბეზღება აღსარების საფუძველზე. სამწუხაროდ, დაბეზღებით აღმსარებელი არაერთხელ სიკვდილითაც კი დაუსჯიათ. სწორედ მსგავსი ქმედებების აღსაკვეთად იქნა შეტანილი ეს მუხლი შეთანხმების ტექსტში. აქამდე თუ სასულიერო პირს უფლება ჰქონდა არ გაეცა აღსარებით მიღებული ინფორმაცია, ამჯერად იგი უკვე ვალდებულია ეს გააკეთოს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეკლესია ხელს დააფარებს სისხლის სამართლის დამნაშავეს: საეკლესიო სამართლით მორწმუნე, რომელიც აღიარებს აღსარებაში დანაშაულს (და ე. ი. ნანობს კიდევაც მის მიერ ჩადენილ ქმედებას), ვალდებულია გამოცხადდეს სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებში და აღიაროს დანაშაული. სავარაუდოა, რომ მოძღვარიც ასევე მოუწოდებს მის წინაშე აღმსარებელს. ცხადია, გამოუცხადებლობა მას ცოდვის შენდობად არ ჩაეთვლება.

ამ მუხლში, აღსარების გარდა, იმ საიდუმლოებათა დაცვაც მოიაზრება რომელიც ადამიანისთვის, როგორც სასულიერო პირისთვის გახდა ცნობილი.

მუხლი 3

სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ

ჯვრისწერას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამართლებრივ ურთიერთობებში გამოიყენება ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები.

როგორც წინა მუხლის კომენტარშიც აღინიშნა ჯვრისწერა (ქორწინება) ერთ-ერთი საეკლესიო საიდუმლოა. დღეს არსებული ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაცია მომდინარეობს სწორედ ეკლსიის მიერ დაფუძნებული ჯვრისწერის საზეიმო შესრულებიდან, ანუ რეგისტრაციიდან. საქართველოს სამეფო კანონმდებლობით, ასევე რუსეთის საიმპერიო კანონმდებლობითაც ჯვრისწერის რეგისტრაციის ერთადერთი ორგანო იყო მართლმადიდებელი ეკლესია (მართლმადიდებელთათვის). ხოლო მას შემდეგ, რაც გადადგა რუსეთის იმპერატორი და დაიშალა რუსეთის იმპერია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გააუქმა ჯვრისწერის იურიდიული ხასიათი. შემოღებულ იქნა ქორწინების სამოქალაქო რეგისტრაცია სახელმწიფოს მიერ შექმნილ სათანადო ორაგნოში. ანალოგიური პოლიტიკა გაატარეს ბოლშევიკებმა რუსეთშიც. ასე რომ საქართველოს შეერთების შემდეგ მათ აღარ დასჭირვებიათ ქართული კანონების (აღნიშნულ საკითხების შესახებ) ჰარმონიზაცია თავიანთ კანონმდებლობასთან.

კონსტიტუციური შეთანხმებით სახელმწიფომ აღიარა ეკლსიის მიერ შესრულებული ჯვრისწერა ერთი პირობის გათვალისწინებით: იურიდიულ ურთიერთობებში გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები. ამგვარად, სახელმწიფომ დატოვა არსებული წესი, ანუ ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაცია, მაგრამ ასევე ცნო ჯვრისწერა (საეკლესიო წესებით ქორწინება). ეს ცნობა, სავარაუდოდ, გამოიხატება იმაში, რომ ჯვარდაწერილ, მაგრამ სახელმწიფო რეგისტრაცია გაუვლელ ცოლ-ქმარს სახელმწიფო განარჩევს, თუ შეიძლება ასე ითქვას, შემთხვევითი წყვილისაგან და ამგვარად, გამართლებულია ზნეობრივად. კერძოდ, ეს უპირველესად შეეხება

მამობის დადგენას, ასევე სხვა ურთიერთობებს. კონკრეტულად თუ რას სახით აღიარებს სახელმწიფო ჯვრისწერას, პრეზიდენტის ა. წ. 7 იანვრის ბრძანებულებით შექმნილია სპეციალური კომისია (ამის შესახებ იხ. მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის კომენტარი).

ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნებოდა აგვეღო ბერძნული მოდელი. კერძოდ, იგი მდგომარეობს იმაში, რომ საბერძნეთის მოქალაქეებს უფლება აქვთ დაიწერონ ჯვარი ეკლესიაში, ან ქორწინების რეგისტრაცია გაიარონ სახელმწიფო ორგანოში; მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მათ ჯვარი დაიწერეს, დამატებითი რეგისტრაცია სახელმწიფო ორგანოში არ სჭირდებათ და ეკლესიაში შესრულებული ჯვრისწერა პირდაპირ იძენს იურიდიულ ძალას.

მუხლი 4

1. სასულიერო პირი თავისუფლდება სამხედრო ვალდებულებისაგან.

2. სახელმწიფო ეკლესიასთან შეთნხმებით უზრუნველყოფს სამხედრო-საჯარისო ფორმირებებში, საპატიმროებსა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოძღვრის ინსტიტუტის შექმნას და ამასთან დაკავშირებით შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღებას.

3. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან განახორციელონ მოსახელობის სოციალური დაცვის ერთობლივი პროგრამები.

1. დიდი სჯულისკანონის მოციქულთა 83-ე კანონში ეკითხულობთ: "ეპისკოპოსი და ხუცესი და დიაკონი, რომელი სამჴედროთა და საერისკაცოთა საქმეთა შექცეულ იყოს და ორისავე პყრობაჲ ენებოს ჰრომაელებრისა მთავრობისა და სამღდელოჲსა განგებისაჲ, განიკუეთენ, რამეთუ "კეისრისანი კეისარსა და ღმრთისანი ღმერთსა". ამგვარად, დიდი სჯულისკანონი უკრძალავს სასულიერო პირებს სამხედრო და, საერთოდ, საერო საქმიანობაში მონა-

წილეობას. სწორედ კანონიკური სამართლის ეს ნორმაა გათვალისწინებული კონსტიტუციურ შეთანხმებაში. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საყოველთაო მობილიზაციის შემთხვევაში სასულიერო პირი შეიძლება მაინც იქნეს გაწვეული, მაგრამ არა როგორც სამხედრო, არამედ როგორც ჯარისკაცთა მოძღვარი, უძველესი ქართული ტრადიციისამებრ (ამის შესახებ იხ. შემდეგი პუნქტის კომენტარი).

2. საისტორიო წყაროები მოწმობენ, რომ საქართველოს ეკლესია და მისი სამღვდელოება ყოველთვის გვერდით ედგნენ ქართულ ჯარს. უშუალოდ ბრძოლაში ჩაბმის წინ ჯარისკაცთა ზიარება სავალდებულო იყო. სწორედ ამიტომაც უზიარებლობას საქართველოს კანონმდებლობით "სამოქალაქო სიკვდილი" ერქვა, ვინაიდან უზიარებელს სხვა მრავალ შეზღუდვასთან ერთად აკრძალული ჰქონდა ომში მონაწილეობაც. აღნიშნული მიზეზის გამო დაუშვებელი იყო სამეფოს ჯარში არამართლმადიდებლის გაწვევაც. სწორედ ამის შესახებ საუბრობს არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი, რომელიც აღნიშნავს, რომ დავით აღმაშენებელი ომში არ იწვევდა თბილისელ მუსლიმებსო. იგივე წესები მოქმედებდა რუსეთის იმპერიაშიც (ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ "რუსის ჯარში" არ იყვნენ სომხები. ზოგი ამას რუსების პროსომხურ პოლიტიკად აღიქვამს).

ყოველივე ზემოთთქმულის გათვალისწინებით საქართველოს ჯარში დაწესდა მოძღვრის ინსტიტუტი. თავისთავად ცხადია, აქ ვერ იმოქმედებს ტრადიციული ქართული წესი, რომ ჯარში არამართლმადიდებელი და უზიარებელი არ გაიწვიონ. თუმცა, თავის მხრივ ვერც არამართლმადიდებელი მოითხოვს თავისი კონფესიის სასულიერო პირი იყოლიონ ქართულ ჯარში.

საქართველოს სამეფო კანონმდებლობით სავალდებულო იყო პატიმრისთვის მოძღვრის მიყვანა. სასჯელის

მიზანი არაა შურისძიება, მისი ერთ-ერთი მიზანია სინანული და დამნაშავის გამოსწორება. შეიძლება, რომ დამნაშავე ნანობდეს მის მიერ ჩადენილ ქმედებას. ამიტომ მას უნდა მიეცეს მონანიების საშუალება, ე. ი. აღსარების ჩაბარების საშუალება. ამიტომაც, შეთანხმების საფუძველზე შეიქმნება მოძღვრის ინსტიტუტი საპატიმროებშიც.

საქართველოს საპატრიარქოში შექმნილია შესაბამისი სამსახურები: ძალოვან სტრუქტურებთან ურთიერთობის განყოფილება და აგრეთვე მსჯავრდებულებთან ურთიერთობის განყოფილება.

3. აქ ფაქტობრივად იგივე საკითხზეა საუბარი, რომელსაც ეხება შეთანხმების 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტი. კერძოდ, სახელმწიფოსა და ეკლესიის მიერ მოსახლეობის საკეთილდღეოდ განსახორციელებელ ერთობლივ პროგრამებზე.

მუხლი 5

1. საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართლმადიდებელი სარწმუნოების შესახებ საგნის სწავლა ნებაყოფილობითია. სასწავლო პროგრამების დადგენა, შეცვლა, პედაგოგთა დანიშვნა და გათავისუფლება ხდება ეკლესიის წარდგინებით.

2. სახელმწიფო და ეკლესია კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ორმხრივად და გათანაბრებულად აღიარებენ შესაბამისი სასწავლო დაწესებულებების მიერ გაცემულ განათლების დამადასტურებელ დოკუმენტებს, სამეცნიერო ხარისხებსა და წოდებებს.

3. სახელმწიფო და ეკლესია უფლებამოსილნი არიან განათლების სისტემაში განახორციელონ ერთობლივი

პროგრამები. სახელმწიფო ხელს უწყობს ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებას.

1. ჯერ კიდევ საქართველოს სამეფოში სავალდებულო იყო, რომ დაწყებითი ქრისტიანული საფუძვლები მრევლისთვის მღვდელს ესწავლებინა. მაშინ, თავისთავად ცხადია, არც სახელმძღვანელოები არსებობდა და არც სასწავლო პროგრამები. ამ ხარვეზის გამოსწორება სცადა მეფე ერეკლე II, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართულ სახელმწიფოში შექმნილი სავალალო მდგომარეობის გამო აღნიშნულის განხორციელება არ დასცალდა. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ სკოლებსა და გიმნაზიებში შემოიღეს ქრისტიანული სარწმუნოების საფუძვლების – საღვთო სჯულის სწავლება. ეს საგანი რუსეთის იმპერატორისა და უწმიდესი სინოდის მიერ დადგენილი პროგრამითა და სახელმძღვანელოებით ისწავლებოდა. ძირითადად წიგნები რუსულენოვანი იყო, მაგრამ არსებობდა ქართული ანალოგიური შინაარსის წიგნებიც. ასე გრძელდებოდა რევოლუციამდე. 1918 წ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებით ქვეყნის ყველა სასწავლებელში გაუქმდა საღვთო სჯულის სწავლება. რაღა თქმა უნდა, საქართველოს საბჭოთა რუსეთის მიერ შეერთების შემდეგ ამ საკითხში დადებითი ძვრა არ ყოფილა. პირიქით, თუ დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლობით დასაშვები იყო მშობლებს თავიანთი ხარჯით მოეწვიათ აღნიშნული საგნის მასწავლებელი, საბჭოთა კანონმდებლობამ საქართველოს მოქალაქეებს ეს უფლებაც ჩამოართვა. კონსტიტუციური შეთანხმების ძალით 85 წლის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში კვლავ აღდგა საღვთო სჯულის სწავლება.

აუცილებელია ითქვას, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1991 წ.) ზოგიერთ სასწავლებელში ხელმძღვანელებმა საკუთარი ინიციატივით აღადგინეს საღვთო სჯულის სწავლება. ამ კეთილ განზრახვას

უარყოფითი მხარეც აღმოაჩნდა: გართულდა საგანში კარგად გათვითცნობიერებულ პედაგოგთა კადრის შერჩევა. არაერთხელ ისეთი შემთხვევაც კი დაფიქსირდა, როცა სკოლებში მართლმადიდებლობას ამოფარებული სექტანტები შედიოდნენ და ბავშვებს გონებას უწამლავდნენ (ამ საკითხთან დაკავშირებით საპატრიარქოს რადიო "ივერიის" ეთერში სხვადასხვა სახელწოდების არაერთი გადაცემა გავიდა). ზემოთთქმულიდან გამომდინარე კონსტიტუციურ შეთანხმებაში მართებულად ჩაიწერა, რომ "სასწავლო პროგრამების დადგენა, შეცვლა, პედაგოგთა დანიშვნა და გათავისუფლება ხდება ეკლესიის წარდგინებით". მართლაც, ვის თუ არა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას აქვს უფლება შეარჩიოს ქვეყნის მომავლის სულიერ აღმზრდელთა კადრები!.. იურიდიულად, ეკლესიის მიერ წარდგენილ პროგრამასა და მასწავლებელთა კანდიდატურებს დაამტკიცებს საქართველოს განათლების სამინისტრო.

2. საქართველოს უდიდესი სასულიერო სკოლა აქვს. ჯერ კიდევ იმ პერიოდში, როცა დღეს არსებულ მართლმადიდებელ სახელმწიფოთაგან მრავალი ან არ არსებობდა, ან არსებობის პირველ წლებს ითვლიდა, საქართველოს ჰქონდა საყოველთაოდ ცნობილი გელათისა და იყალთოს სასულიერო აკადემიები და სხვა სასწავლებლები. იმ უმდიდრესი სამეცნიერო და პედაგოგიური მიღწევების უმრავლესობა, რომლითაც დღეს სამართლიანად ამაყობს საქართველო, სწორედ აღნიშნული სამეცნიერო-კულტურული ცენტრების საქმიანობის შედეგია. ამიტომაც, სამართლიანი იქნებოდა, რომ სახელმწიფო სასწავლებლებთან თანასწორად წარმოდგენილი ყოფილიყო საპატრიარქოს იურისდიქციაში მყოფი სასწავლებლები.

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ექვემდებარება:

– გელათის მეცნიერებათა აკადემია (რექტორი მაგალი თოდუა), რომელიც ამიერიდან საქართველოს

მეცნიერებათა აკადემიის თანასწორად იქნება განხილული;

– თბილისისა და გელათის სასულიერო აკადემიები, რომლებიც როგორც უმაღლესი სასულიერო სასწავლებლები წარმოდგენილი იქნებიან საერო უნივერსიტეტების, აგრეთვე სპეციალური უმაღლესი სკოლების (მაგალითად, გაერთიანებული სამხედრო აკადემია, სამხატვრო აკადემია, კონსერვატორია და სხვა) თანასწორად;

– სხვა საშუალო და საშუალო-სპეციალური სასწავლებლების თანასწორი ლიცეუმები და გიმნაზიები,როგორც საერო, ისე სასულიერო (მაგალითად, მცხეთის წმ. წმ. ათორმეტთა მოციქულთა სახ. გიმნაზია, ბათუმის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. გიმნაზია და ა. შ.).

ბუნებრივია, თანასწორუფლებიან სასწავლებელთა მიერ გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები თანაბარი იურიდიული ძალის და ასევე, მნიშვნელობის მქონე იქნება.

3. ეს პუნქტი იმეორებს 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტისა და მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შინაარსს. აქვე დამატებულია, რომ სახელმწიფო ხელს შეუწყობს ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებას. ხელშეწყობა შეიძლება გამოიხატოს როგორც მატერიალური, ისე მორალური, იდეოლოგიური და სხვა სახით.

მუხლი 6

1. ეკლესიის საკუთრება და სხვა ქონებრივი უფლებები დაცულია კანონით. ეკლესიის საკუთრებაში შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონება, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

2. ეკლესია თავის არასაღვთისმსახურო ქონების ფლობას, სარგებლობასა და განკარგვას ახორციელებს საეკლესიო სამართლებრივი ნორმებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

3. ეკლესია უშუალოდ არ ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას.

4. ეკლესიის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს: ნებაყოფილობითი შემოწირულობანი, სამეწარმეო შემოსავლები, ინვესტიციები, გრანტები, დახმარებები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული სხვა შემოსავლები.

5. ეკლესიის მიერ წარმოებული საღვთისმსახურო პროდუქცია – მისი დამზადება, შემოტანა, მიწოდება და შემოწირულობა, ასევე არაეკონომიკური მიზნით არსებული ქონება და მიწა გათავისუფლებულია გადასახადებისაგან.

6. სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით იძლევა ნებართვას ან ლიცენზიას ეკლესიის ოფიციალური ტერმინოლოგიისა და სიმბოლიკის გამოყენებაზე, აგრეთვე, საღვთისმსახურო პროდუქციის დამზადებაზე, შემოტანასა და მიწოდებაზე.

1. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია საუკუნეების მანძილზე ეკონომიკურად ძლიერი ორგანიზაცია იყო, რომელსაც გააჩნდა უძრავი ქონება, ჰყავდა საეკლესიო ყმები. სამეფო კანონმდებლობა იცავდა საეკლსიო ქონებას და მას შეუხებლად აცხადებდა (განსხვავებით რუსეთის იმპერიისა, სადაც ხდებოდა საეკლესიო ქონების სეკულარიზაცია, თუ ეს მიზანშეწონილად ჩაითვლებოდა "ქვეყნის საჭიროებიდან გამომდინარე"). ჩვენმა ეკლესიამ დიდი მორალური და მატერიალური დანაკლისი განიცადა ავტოკეფალიის გაუქმებისა (1811წ.) და რუსეთის ეკლესიასთან მიერთების შემდეგ, რის შემდგეგაც დამყარდა სინოდალური მმართველობა რუსეთის ეკლესიის მოდელზე. რაც შეეხება საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულებას ეკლესიის მიმართ, იგი "შეუდარებელი" იყო რუსეთის იმპერიის მიერ განხორციელებულ ქმედებებთან: თუ წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძის) დროს იმერეთის ეპარქიაში 800-მდე ღვთისმსახური და 100-ზე მეტი ტაძარი იყო, 1925 წლისთვის კომუნისტებმა "მოახერხეს" ამ მონაცემთაგან პირველის 50-მდე, ხოლო მეორის 20-მდე დაყვანა. გადარჩენილი ეკლესიები, მსგავსად "დიდი თურქობისა" გადაკეთებულ

იქნა თავლებად, სადგომებად, საწყობებად, თეატრებად, აბანოებად და სხვა უამრავ, ბუნებრივია, ეკლსიისთვის შეუფერებელ ნაგებობებად. ერთადერთი დადებითი ქმედება საბჭოთა ხელისუფლებისა, განხორციელებული ეკლესიის მიმართ იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 12 აპრილის დადგენილება "ეკლესიისთვის მორალური კომპენსაციის გაწევისა .და ქონების ნაწილობრივ დაბრუნების შესახებ". ამგვარად, საბჭოთა ხელისუფლებამ, არსებობის უკანასკნელ წელს ძალიან მცირედით, მაგრამ მაინც გამოისყიდა თავისი დანაშაული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ეკლესია გათავისუფლდა გადასახადებისაგან. შეთანხმების ამ პუნქტით კი სახელმწიფომ თავის თავზე აიღო ეკლესიის საკუთრების დაცვა.

მეორე წინადადებაში მითითებულია, რომ ეკლესიას უფლება აქვს ფლობდეს ნებისმიერ ქონებას, რომელიც არ არის აკრძალული ქვეყნის კანონმდებლობით. ეს იმას ნიშნავს, რომ ეკლესიას, გარდა საღვთისმსახურო ქონებისა, შეიძლება საკუთრებაში ჰქონდეს მიწები, შენობა-ნაგებობები, სხვადასხვა დანიშნულების ტექნიკა, კომპიუტერები, და სხვა. დაუშვებელია, ეკლესია ფლობდეს სამხედრო დანიშნულების ტექნიკას, იარაღს, ასევე აკრძალულ ნივთიერებებს.

2. როგორც წინა პუნქტის კომენტარშიც აღინიშნა ეკლესია ფლობს როგორც საღვთისმსახურო, ისე არასაღვთისმსახურო ქონებას. ეს პუნქტი სწორედ არასაღვთისმსახურო ქონებას ეხება. კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ ეკლესია მათ ფლობას, სარგებლობასა და განკარგვას ახორციელებს საეკლესიო და ქვეყნის კანონმდებლობის საფუძველზე. ამ პუნქტში საუბარია სწორედ იმ საკითხზე, რაც განხილული იყო 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის კომენტარში, კერძოდ ის, რომ, სახელმწიფო ცნობს თავის კანონმდებლობაზე უზენაესად კანონიკურ სამართალს

მხოლოდ ეკლესიის შიდა საქმიანობაში. რაც შეეხება იმას, თუ რა გზით იღებს ეკლესია ქონებას, ამის შესახებ შემდგომ პუნქტებშია საუბარი.

3. საერო კანონმდებლობით საჯარო სამართლის იურიდიული პირი სამეწარმეო საქმიანობას უშუალოდ არ ახორციელებს, ე. ი. იგი მოგების მიზნით არაა შექმნილი. ეს დებულება გამომდინარეობს თავად საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფუნქციიდან: მისი მიზნებია საჯარო, ქვეყნის საერთო ინტერესების განხორციელება და არა მოგების მიღება, თუმცა შესაძლებელია, რომ იგი მაინც ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას ბიუჯეტის უკეთ შევსების მიზნით. მართალია, ეკლესია საჯარო სამართლის განსაკუთრებული იურიდიული პირია, მაგრამ ეს წესები, რაღა თქმა უნდა, მის მიმართაც არამარტო ვრცელდება, არამედ უპირველესად ეკლესიაა ის ორგანიზაცია, რომლის ფუნქციებშიც არ შედის სამეწარმეო საქმიანობა. "მეუფებაჲ ჩემი არა ამის სოფლისაგანი არს" – ბრძანებს უფალი (იხ. 18; 36) და მართლაც, თუ სახელმწიფოს მხრიდან შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ფუნქციები ამქვეყნიურ საქმეებს აწესრიგებს (და ამით შეიძლება უფრო ახლოს იდგეს სამეწარმეო საქმიანობასთან), ეკლესიის მოვალეობა კაცთა წინაშე უფრო აღმატებული და ამავე დროს არაამქვეყნიურია. მსგავსად საჯარო სამართლის იურიდიული პირისა, ეკლესიაც შეიძლება ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, თუმცა ასეთ საქმიანობას არ ეგების, რომ ვუწოდოთ საქმიანობა ბიუჯეტის გაზრდის მიზნით. ეკლესიის ნაწარმთა უმრავლესობა თავად საეკლესიო მსახურების განხორციელებისათვის იწარმოება. ამის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ: ხატები, ჯვრები, საცეცხლურები, საკმეველი, სანთელი, ბარძიმი, ფეშხუმი, სამღვდელო შესამოსელი, საეკლესიო პური და ღვინო და სხვა მრავალი. შესაძლებელია, რომ ეს პროდუქცია სხვა მართლმადიდებელი ქვეყნებიდან შემოიტანონ, თუმცა ეკონომიკურად ამას მაინც მეწარმეობა

დაერქმევა. რაც შეეხება იმ საკითხს, თუ რა უფლებები ექნებათ იმ ორგანიზაციებს (ცხადია, ეკლესიის გარდა), რომლებსაც სურთ აწარმოონ საეკლესიო დანიშნულების ნივთები, ეხება ამ მუხლის მე-6 პუნქტი.

4. ამ პუნქტში საუბარია ეკლესიის დაფინანსების წყაროზე. გამომდინარე იქიდან, რომ მართლმადიდებლობა საქართველოს სახელმწიფო რელიგია არაა, ქვეყნის ბიუჯეტში ეკლესიისთვის გამიზნული თანხა შეიძლება მხოლოდ დახმარებად იქნეს გათვალისწინებული. ასევე ეკლესია შემოსავლებს იღებს სხვადასხვა სახით, რომლებიც სწორედ ამ პუნქტშია ჩამოთვლილი. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

<u>ნებაყოფლობითი შემოწირულობა</u> არის ეკლესიის სასარგებლოდ მორწმუნის მიერ (და არა მარტო მისი) საკუთარი ნებით გაცემული თანხა. აქ აუცილებელია ორიოდ სიტყვა ითქვას საეკლესიო მსახურების და ღვთისმსახურთა ანაზღაურებაზე მორწმუნეთაგან. საერთოდ, ყველა ადამიანი თავს საკუთარი საქმიანობით ირჩენს. აქ უნებურად გვახსენდება დავით გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა": "ბრძენი სიტყვითა დარჩების, // ოსტატი თავის ხელითა, // ხუცესი წირვით, ვაჭარი // შორს წასვლით-მოსვლით ძნელითა." მართალც, ყველა თავისი საქმისაებრ ცხოვრობს. ამგვარად, სასულიერო პირისთვის ღვთისმსახურების აღსრულების შეძლებისდაგვარად ანაზღაურება სავალდებულოა, რადგან გარდა თავისი უდიდესი სულიერი დატვირთვისა, ის ფიზიკურადაც დატვირთულია. სახარების მიხედვით კი „ყოველი მუშაკი ღირსია სასყიდლისა". აქედან გამომდინარე სრულიად გასაკვირია იმ პირთა გაოცება, რომელთაც არ ესმით, თუ რატომ უნდა გაიღონ შესაწირი სასულიერო პირთა მიმართ. მართლაც, პავლე მოციქული ერთგან ბრძანებს, რომ „უკუეთუ ჩუენ სულიერი დავსთესეთ თქუენ შორის, დიდ-მე რაჲ არსა, თქუენგან თუ ჴორციელი მოვიმკოთ ჩუენ?" (I კორ. 9;11)

<u>სამეწარმეო შემოსავლები</u> უკვე განხილული იყო ჩვენს მიერ წინა პუნქტის კომენტარ'ში.

<u>ინვესტიციები</u> ეკონომიკურად ეწოდება რაიმე წარმოება'ში კაპიტალის გრძელვადიან დაბანდებას.

<u>გრანტი</u> არის ერთჯერადი დახმარება.

5. ეკლესია, როგორც აღინიშნა, შეიძლება აწარმოებდეს როგორც საღვთისმსახურო, ისე არასაღვთისმსახურო პროდუქციას. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოც ეკლესიის მიერ განხორციელებულ წარმოებით საქმიანობას ორგვარად აწესრიგებს: გადასახადებს უწესებს არასაღვთისმსახურო პროდუქციის წარმოებას, ხოლო მეორეს მხრივ საღვთისმსახურო პროდუქციის წარმოებას ათავისუფლებს გადასახადებისაგან. ეს უკანასკნელი გაგრძელებაა იმ უძველესი ტრადიციისა, რომელიც საქართველოს სამეფო'ში არსებობდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვინც არ უნდა აწარმოებდეს მართლმადიდებლობისათვის საჭირო პროდუქციას, გადასახადისაგან გათავისუფლება ეხება მხოლოდ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლ ეკლესიას.

6. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი პუნქტია. ჩვენ სხვა მუხლების განხილვის დროს საუბარი გვქონდა იმაზე, თუ რა ზიანი მიაყენა მრავალ მართლმადიდებელ ქრისტიანს სკოლებში საღვთო სჯულის პროგრამის და შესაბამისი კადრის უქონლობამ. იგივე, და შეიძლება უარესი შედეგიც მოჰყვეს საღვთისმსახურო პროდუქციის უნებართვოდ წარმოებას, რადგან ადვილი შესაძლებელია, რომ სექტანტებმა ისარგებლონ ამ მდგომარეობით და მწვალებლური ლიტერატურა (და სხვა პროდუქცია) მოახვიონ მორწმუნეებს მართლმადიდებლობის სახელით. ამ პუნქტის შეთანხმებაში შეტანით მოიხსნება ეს პრობლემა, რადგან ზემოთხსენებული პროდუქციის წარმოების ნებართვის გაცემას განახორციელებს მხოლოდ სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით.

ტერმინთა განმარტების მიხედვით ეკლესიის ოფი-

ციალურ ტერმინებად ითვლება: "მართლმადიდებელი", "სამოციქულო", "კათოლიკოს-პატრიარქი" და სხვ. საეკლესიო მოძღვრების თანახმად არ შეიძლება ღვთის სახელის უპატივცემლოდ გამოყენება. "არა მოიღო სახელი უფლისა შენისა ამაოსა ზედა" – ვკითხულობთ ათიდან მესამე მცნებაში. ასევე, არ შეიძლება წმიდა გამოსახულების (ჯვარი, ხატი, ფრესკა) გაუფრთხილებლად მოპყრობა და შერყვნა. ჩვენი აზრით, ასევე უნდა აიკრძალოს ეკლესიის არაოფიციალური, მაგრამ მასთან სისხლხორცეულად დაკავშირებული ტერმინების და სიტყვების გამოყენება. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ: სამება, ღვთის სხვა სახელები, წმინდანთა სახელები, ციტატები წმიდა წერილიდან და ლოცვებიდან. იგივე ითქმის ტერმინ "ივერიაზეც". ივერია საქართველოს, თუ შეიძლება ასე ითქვას, საეკლესიო სახელია. როდესაც ლაპარაკია საქართველოს შესახებ ღრმა სარწმუნოებრივი კუთხით, ხშირად სწორედ ივერია გამოიყენება: ივერიის ეკლესია, ივერიის გაქრისტიანება, ივერიის გაბრწყინება. ასევე უნდა აიკრძალოს წმიდათა სახელის დარქმევა უბრალო ორგანიზაციებზე, თუმცა უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, წმიდა სახელისთვის შეუსაბამო ორგანიზაციებზე (რაღა თქმა უნდა, ეს არ ვრცელდება სასწავლებლებზეც, თუ ისინი თავიანთი სულისკვეთებით ღირსნი არიან ასეთი სახელის).

ცალკე აღნიშვნის ღირსია ტერმინი "მართლმადიდებელი", რომლის გამოყენების უფლება აქვთ საქართველოს სამოციქულო ეკლესიას, ასევე მსოფლიოს სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებს (რომლებსაც ცნობს მსოფლიო საპატრიარქო და საქართველოს საპატრიარქო), ასევე მათ იურისდიქციაში მყოფ პირებს. სხვა პირებს (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) უნდა აეკრძალოთ ამ ტერმინის გამოყენება (ძირითადად მხედველობაში გვაქვს ვასილ მკალავიშვილის სქიზმატური დაჯგუფება, რომლიც უკანონოდ იყენებს თავის დასახელებაში სიტყვა "მართლმადიდებელს": ე. წ. გლდანის "მართლმადიდებელი" ეპარქია).

მუხლი 7

1. სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, აგრეთვე, მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული.

2. ზემოაღნიშნულ ნაგებობათა დაცვის ზონები, მათი მოვლა-პატრონობისა და სარგებლობის წესები განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობით და ეკლესიასთან შეთანხმებით.

1. ამ მუხლით მართლაც უამრავი პრობლემა მოგვარდა. როგორც ცნობილია, საქართველოს ეკლესიამ დიდი მატერიალური ზარალი განიცადა ღვთისმებრძოლი საბჭოთა ხელისუფლებისაგან. დაინგრა და ეკლესიას ჩამოეროვა უამრავი ტაძარი და მონასტერი (ამის შესახებ საუბარი გვქონდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის კომენტარისას). სამწუხაროდ, სახელმწიფო თავის საკუთრებაში მყოფ საეკლესიო ნაგებობებს ღვთის სახლისთვის ყოვლად შეუსაბამოდ ეპყრობოდა: ზოგი მათგანი თეატრად, ზოგი კინოთეატრად, ზოგი საპატიმროდ და ზოგი აბანოდაც კი იყო გადაკეთებული. ღვთის მადლით, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ტაძრების ძირითადი ნაწილი ეკლესიას დაუბრუნდა. თუმცა, კონსტიტუციური შეთანხმების დადებამდე ზოგი ისევ სახელმწიფოს კუთვნილებად რჩებოდა და ერთ-ერთი მათგანში თეატრი იყო კვლავ განთავსებული (საუბარია ფოთის საკათედრო ტაძარზე, რომლის მიხედვითაც დაპროექტდა მთლიანად ქალაქი ფოთი ისე, რომ ქალაქის ყველა ცენტრალური გზა ტაძრისკენ მიდის). საბედნიეროდ, შეთანხმების საფუძველზე ყველაფერი თავის ადგილას უნდა დადგეს.

ამ პუნქტში საუბარია ასევე იმაზეც, რომ ეკლესიის საკუთრება ხდება ტაძრის ნანგრევებიც (ე. ი. ის ისტორიული ტაძრები, რომლებმაც ჟამთა სიავის გამო სრული სახით

ვერ მოაღწიეს ჩვენამდე). ეკლესიის საკუთრებად ცხადდება ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაც.

2. ბუნებრივია, ეკლესიის საკუთრებაში მყოფი ტაძრების ნაწილი დიდი კულტურული ღირებულების მქონეა. ამიტომ, სახელმწიფო მათ შესახებ საგანგებო წესებს ადგენს. თუმცა ამის შესახებ უფრო კონკრეტულად მე-9 მუხლის კომენტირებისას ვისაუბრებთ.

მუხლი 8

1. სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს სახელმწიფო დაცვაში (მუზეუმებში, საცავებში) მყოფ საეკლესიო საგანძურს (კერძო საკუთრებაში არსებული ნაწილის გარდა).

2. ზემოაღნიშნული საეკლესიო საგანძური, როგორც საერთო-ეროვნული საგანძურის ნაწილი, არის სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივ მფლობელობაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (წმიდა ნაწილებისა და წმიდა რელიკვიების გარდა).

1. ის საეკლსიო ნივთები, რომლებიც დღეს უდიდესი ღირებულების მქონე საგანძურად ითვლება, თავიდანვე საეკლესიო მსახურებისთვის შეიქმნა. დროთა განმავლობაში გამომდინარე თავისი სილამაზიდან, მდიდრული პერანგიდან, ისტორიული მნიშვნელობის შეძენიდან ისინი ერის საგანძურად იქცნენ. აქედან გამომდინარე მათ, მართალია, დაკარგეს თავიანთი ძირითადი მნიშვნელობა (ანუ აღარ გამოიყენებოდა მსახურებაში), მაგრამ დარჩნენ ეკლესიაში მორწმუნეთა განსაძლიერებლად. არასწორია ის მოსაზრება, რომ თითქოს ეკლესია არასათანადოდ უფრთხილდებოდა ხატებს, რომ თითქოს ეკლესიაში ხატები ზიანდებოდა, რომ თითქოს ხატები ისვრებოდა ამბორისა და საკმეველისაგან. ალბათ, არაეკლესიურმა მორწმუნემაც კი იცის, რომ ხატების უმრავლესობა ეკლესიებში მინით დაფარულ ჩარჩოებშია ჩასმული და ამით თავიდანაა

აცილებული მათი დაზიანება. ამისდა მიუხედავად ზოგიერთნი მაინც ჯიუტად ადგანან ზემოთმოყვანილ მცდარ აზრს. შეთანხმების ამ მუხლმა ერთხელ და სამუდამოდ მოუღო ბოლო ამ უაზრო კამათს იმის შესახებ, თუ სად უნდა ინახებოდეს ხატი!..

ბუნებრივია, სახელმწიფო ეკლესიას გადასცემს მხოლოდ მის საკუთრებაში მყოფ საგანძურს. კერძო საკუთრებაში მყოფ საგანძურზე, ცხადია, ეს მუხლი ვერ გავრცელდება, თუმცა, კარგი იქნება, თუ მოქალაქენი თავისივე ნებით დაუბრუნებენ ეკლესიას მის კუთვნილ და უკანონოდ ჩამორთმეულ ქონებას.

2. სახელმწიფომ გაითვალისწინა ის ფაქტიც, რომ დღევანდელ დღეს, როცა საკმაოდ შეცვლილია ბუნებრივი პირობები და გართულებულია კრიმინოგენული სიტუაცია, ეკლესიას შეიძლება გაუჭირდეს აღნიშნული ქონების სათანადოდ შენახვა. ამიტომ მათზე დაწესდა ერთობლივი მფლობელობა. ფრჩხილებში მითითებულია, რომ ეს პუნქტი ვრცელდება მხოლოდ მატერიალური ღირებულების მქონე ნივთებზე. თავისთავად ცხადია, რომ ისეთ სიწმიდეებზე, რომელსაც მატერიალური ღირებულება არ გააჩნიათ ეს მუხლი არ გავრცელდება, რადგან არამატერიალური საეკლესიო ქონება სახელმწიფოს მფლობელობაში არ შედის. ასეთად შეგვიძლია დავასახელოთ წმიდათა ნაწილები (მაგ.: წმ. გიორგის ძვალი, წმ. ქეთევან დედოფლის ხელი, წმ. თომა მოციქულის თავის ქალა, ასევე სხვა წმიდანების სხეულები) და წმიდა რელიკვიები (მაგ.: მაცხოვრის სამსჭვალი, წმ. ნინოს ჯვარი ვაზისა, ღირსი მამის, დავით გარეჯელის მიერ იერუსალიმიდან ჩამოტანილი მადლის ქვა და სხვა).

მუხლი 9

1. სახელმწიფო და ეკლესია ერთობლივად ზრუნავენ ისტორიულ-კულტურული და არქეოლოგიურ-არქიტექტურული ფასეულობების მქონე საეკლესიო ნაგებობებისა და საეკლესიო საგანძურის სათანადო დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის.

2. სახელმწიფო ეკლესიასთან შეთანხმებით, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ამტკიცებს დამატებით წესებს მუზეუმებსა და საცავებში დაცული საეკლესიო საგანძურის სარგებლობის შესახებ, ასევე კულტურულ-ისტორიული ღირებულებების მქონე ტაძრების აღდგენის, რესტავრაცია-კონსერვაციის ან მოხატვის პროექტებს.

1. საუკუნეთა მანძილზე ქართველი ერი ქმნიდა კულტურულ და არქიტექტურულ შედევრებს, რომლებიც დღეს საყოველთაოდაა ცნობილი მთელს მსოფლიოში. არაერთი მათგანი იუნესკოს მიერ მსოფლიო კულტურის საგანძურშია შეტანილი. თუმცა აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ისინი იქმნებოდა ძირითადად მართლმადიდებლობისთვის და ამგვარად, ეკლესიისთვის იყო განკუთვნილი. ასე რომ, თუ ვისმე აქვს მათზე პრეტენზიის გაცხადების უფლება, ეს უპირველესად საქართველოს სამოციქულო ეკლესიაა. საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, რომ საქართველოს სამეფო და ეკლესია ყოველთვის აღიარებდნენ დიდი კულტურული ღირებულების მქონე ძეგლებსა და ნივთებს საეკლესიო საგანძურად და მათ სათანადოდ და საგანგებოდ ეპყრობოდნენ. იმის მიუხედავად, რომ განირჩეოდა უბრალო და ფასეული საეკლესიო ნივთი, არასდროს არ დასმულა საკითხი, თუ ვის საკუთრებაში უნდა ყოფილიყო ხატი, ჯვარი, სახარება, ბიბლია, კონდაკი, ტაძარი! (ამის შესახებ ჩვენ გვქონდა საუბარი მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის კომენტარში)

კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე ეკლესიას დაუბრუნდა სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი ყველა საეკლესიო ნივთი და ნაგებობა მათი ღირებულებისდა მიუხედავად. ამის შესახებ ამ შეთანხმების არაერთ მუხლ-

შია საუბარი. თავისთავად, ეროვნული ფასეულობა მთელი ერის კუთვნილებაა სარწმუნოებისდა მიუხედავად, მაგრამ კუთვნილებაა მხოლოდ ზოგადი და არა იურიდიული გაგებით. იურიდიულად ისინი საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას ეკუთვნის (რაღა თქმა უნდა, საუბარია საეკლესიო ნივთებსა და ნაგებობებზე).

2. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი პუნქტია. არსებობს მოსაზრება, რომ მშენებარე წმ. სამების საპატრიარქო ტაძრის კომპლექსში შეიქმნას საეკლესიო მუზეუმი, სადაც დაცული იქნება მატერიალური ღირებულებების მქონე საეკლესიო ნივთები. თუმცა ამის განხორციელებამდე, სანამ საეკლესიო ექსპონატები კვლავაც მუზეუმშია, აუცილებლად უნდა იქნეს შემოღებული საგანგებო წესები მათი სარგებლობისათვის. აქ უპირველესად უნდა ვიგულისხმოთ მათ მიმართ, როგორც საეკლესიო სიწმიდეების მიმართ მოპყრობა. ხატი, როგორც ცნობილია, ძალას კარგავს მასზე ულოცველობით. ამიტომაც სავალდებულოა, რომ სიწმიდეთა წინაშე აღეევლინოს პარაკლისები, დაუჯდომლები, რათა მათ თავიანთი ჭეშმარიტი ფუნქცია დაიბრუნონ.

ამ პუნქტში ასევე საუბარია იმაზეც, რომ დიდი ისტორიისა და მნიშვნელობის მქონე ძეგლების აღდგენისათვის, მოხატვისათვის და სხვა სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად საჭიროა საგანგებო წესების შემოღება, რადგან მასზე უდიერად ან არასათანადოდ განხორციელებულმა სამუშაოებმა შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი გამოიწვიოს. ეს ეხება როგორც ფრესკების აღდგენას, ისე საკუთრივ ტაძრების აღდგენა-გამშვენებას, ასევე კანონიკის, იკონოგრაფიისა და ქართული ტრადიციული ხუროთმოძღვრებისა და ხატწერის წესების დაცვას.

ამისთვის საქართველოს საპატრიარქოში შექმნილია სპეციალური სამსახური – საეკლესიო ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრი.

მუხლი 10

სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, აწარმოოს მოლაპარაკება შესაბამის სახელმწიფოებთან მათ ტერიტორიაზე არსებული ყველა ქართული მართლმადიდებლური ტაძრის, მონასტრის, მათი ნანგრევის, სხვა საეკლესიო ნაგებობის, აგრეთვე, საეკლესიო ნივთების დაცვის, მოვლა-პატრონობისა და საკუთრების თაობაზე.

საუკუნეთა მანძილზე ქართველი მეფეები ყოველთვის იმას ცდილობდნენ, რომ გაემრავლებინათ ქრისტიანული ტაძრები, როგორც სამშობლოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, რათა დაუსრულებლად აღვლენილიყო ქება და დიდება უფლისა (ეს ტრადიცია, სხვათაშორის, სხვა მართლმადიდებელ ქვეყნებშიც არსებობდა). ამგვარად, საბოლოოდ ჩვენ მივიღეთ უამრავი ქართული ეკლესია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. სამწუხაროდ, საქართველოს ძლიერების შესუსტების ჟამს ისარგებლეს მტრებმა და ჩვენს ქვეყანას არაერთი ტაძარი წაართვეს. საქართველომ ბევრი დაკარგა რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის დროსაც. ზოგიერთი უძველესი ქართული ეკლესია სხვა ქვეყნების შემადგენლობაში იმ მიზეზით აღმოჩნდა, რომ მათ საკუთრივ ქართული მიწები მიითვისეს. დღეს, როცა თანდათანობით აღდგა ისტორიული სამართლიანობა, საქართველოს ტერიტორიის გარეთ მყოფი ტაძრები კვლავაც უცხო სახელმწიფოთა იურისდიქციაში რჩება. ხშირად საუბარია არა საკუთრების, არამედ ქართულ ენაზე მსახურების ჩატარების შესახებ, თუმცა შედეგი, როგორც წესი, ამასაც არ მოსდევს ხოლმე. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე სახელმწიფომ თავის თავზე აიღო მოლაპარაკებების გამართვა იმ ქვეყნებთან, რომელთა ტერიტორიაზეცაა ქართული ეკლესია-მონასტრები. ძირითადად საუბარია იერუსალიმის ჯვრის მონასტერზე, პეტრიწონის მონასტერზე (ბულგარეთი), თურქეთის ტერიტორიაზე განლაგებულ უამრავ ქართულ ტაძარზე (ოშკი,

ზარზმა, ხახული, ხანძთა, შატბერდი, იშხანი, ოთხთა ეკლესია) და ა. შ. ყურადღება უნდა მიექცეს რამდენიმე გარემოებას: უპირველესად ეს ეხება ათონის ივერთა მონასტერს. ათონის მთას აქვს განსაკუთრებული იურიდიული სტატუსი საბერძნეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში და კანონიკურად ექვემდებარება კონსტანტინოპოლის (მსოფლიო) საპატრიარქოს (და არა ელადის ეკლესიას). მის ტერიტორიაზე აღმართული ყველა მონასტერი ეროვნული ნიშნის მიუხედავად ემორჩილება კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსსა და მსოფლიო პატრიარქს, ყოვლადუწმიდეს ბართლომეოსს. ასე რომ, ივერონის მიმართ მოთხოვნაა ის, რომ დაუშვან ქართველი ბერები იქ სამოღვაწეოდ. ცალკე აღნიშვნის ღირსია რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე განლაგებული ქართული ტაძრები. ჩვენი და რუსეთის ეკლესიათა შეთანხმებით რუსეთის მიწაზე განლაგებული ქართული ტაძრები მოსკოვის საპატრიარქოს დაექვემდებარა, ხოლო საქართველოს მიწაზე განლაგებული რუსული ტაძრები – ჩვენს საპატრიარქოს. ღვთის მადლით, საინგილოს ქართული ეკლესიები ჩვენს იურისდიქციაშია. ისინი ექვემდებარებიან ნეკრესისა და ჰერეთის მიტროპოლოტს, მაღალყოვლადუსამღვდელოეს სერგის (ჩეკურიშვილი). თურქეთის ქართული ეკლესია-მონასტრებში ქართული წირვა-ლოცვის აღდგენაზე უკვე არის საუბარი. ამის წინაპირობაა ისიც, რომ საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის 2002 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებთ ახალციხის ეპარქიის სახელწოდებას (მთავარეპისკოპოსი თეოდორე ჭუაძე) დაემატა სიტყვები: "ტაო-კლარჯეთის და ლაზეთის".

მუხლი 11

1. სახელმწიფო ადასტურებს XIX-XX საუკუნეებში (განსაკუთრებით 1921-90 წლებში), სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში, ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს. როგორც ჩამორთმეული ქონების ნაწილის ფაქტიური ფლობელი, იღებს ვალდებულებას მატერიალური ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება №183; 12.04.90).

2. აღნიშნული საკითხის შესწავლის, კომპენსაციის ფორმების, რაოდენობის, ვადების, ქონების ან მიწის გადაცემისა და სხვა დეტალების დასადგენად პარიტეტულ საწყისებზე იქმნება კომისია (ამ შეთანხმების ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში), რომელიც მოამზადებს შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტებს.

1. აღნიშნული საკითხის შესახებ ამ შეთანხმების არაერთ მუხლშია საუბარი. მართლაც, საქართველოს ეკ-ლესიამ დიდი ზარალი განიცადა XIX-XX სს. საეკლესიო ქონების გაფლანგვას სხვადასხვანაირად ახორციელებდნენ რუსეთის იმპერია და საბჭოთა რუსეთი. გამომდინარე იქიდან, რომ მართლმადიდებლობა რუსეთის იმპერიის სახელმწიფო რელიგია იყო, ამ პერიოდში საქართველოს ეკლესიის ქონება ან სახელმწიფოს გადაეცა, ან რუსეთში გაიზიდა. საბჭოთა ღვთისმგმობმა ხელისუფლებამ საქართველოს ისტორიაში მანამდე არნახული ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკა გაატარა. მათი პრინციპი ძირითადად "ცრურწმენის" მოშთობა იყო. ამიტომ, საბჭოთა ხელისუფლებას ძალიან ძნელად გადაურჩა ეკლესია-მონასტრები და საეკლესიო საგანძური. გადარჩა ის, რასაც დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. გადარჩენილი საგანძური, რაღა თქმა უნდა, სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადდა. ამგვარად, რუსეთისა და საბჭოთა იმპერიების მიერ ჩამორთმეული ქონების გარკვეული ნაწილის მესაკუთრე, ღვთის განგებით,

დამოუკიდებელი საქართველო გახდა. ამგვარად, უმადურობად შეიძლება შეერაცხოს ჩვენს ერს, თუ ამ ქონებას სახელმწიფო ეკლესიას არ დაუბრუნებს. თავისთავად ცხადია, სახელმწიფო პასუხისმგებლობას იღებს მხოლოდ იმ ქონებაზე, რაც მას ეკუთვნის. არც ეგების, რომ მოეთხოვოს სახელმწიფოს იმის დაბრუნება, რაც მას ჩვენი ეკლესიისთვის არც კი ჩამოურთმევია.

2. საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 7 იანვრის №1 ბრძანებულებით სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული ღონისძიებების მომზადების მიზნით შეიქმნა 5 კომისია:

ა) ჯვრისწერის სახელმწიფო აღიარებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების მომზადების კომისია;

ბ) კაპელანის ინსტიტუტის შექმნის კომისია;

გ) საღვთო სჯულის სწავლების საკითხთა კომისია;

დ) კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სამართლებრივი და ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგების ღონისძიებათა კომისია;

ე) ეკლესიისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ნაწილობრივი კომპენსაციის საკითხების შემსწავლელი კომისია.

აღნიშნულ კომისიებში შედიან როგორც მთავრობის, ისე საპატრიარქოს წარმომადგენლები. ეს, ვფიქრობ, იმის საწინდარი იქნება, რომ მომზადდეს რეალური და, რაც მთავარია, სახელმწიფოსათვის და ეკლესიისათვის ღირსეული და შესაფერისი კანონპროექტები.

მუხლი 12

1. შეთანხმება შედგება წინამდებარე ტექსტისა და ტერმინთა განმარტებისაგან.

2. შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთან-

ხმების საფუძველზე, ორივე მხარის ხელმოწერითა და პარლამენტისა და წმიდა სინოდის დამტკიცებით.

3. შეთანხმებას ხელს აწერენ საქართველოს პრეზიდენტი და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

4. შეთანხმება ძალაში შედის პარლამენტისა და წმიდა სინოდის მიერ დამტკიცებისთანავე.

1. შეთანხმებას თან ახლავს ტერმინთა განმარტებანი, სადაც განსაზღვრულია შეთანხმებაში გამოყენებული ზოგიერთი საეკლესიო ტერმინის მნიშვნელობა ამ შეთანხმებაში. ჩვენ ამ ნაშრომზე მუშაობისას ვსარგებლობით როგორც აღნიშნული ტერმინთა განმარტებებით, ისე, ზოგადად ეკლესიის წიაღში არსებული ტრადიციით ამა თუ იმ ტერმინის მნიშვნელობათა შესახებ. ამიტომ, საჭიროდ ვცანით, რომ ამჯერად ნაშრომში აღარ მოგვეთავსებინა ტერმინთა განმარტებების ტექსტი.

2. ეს შეთანხმება არ არის სახელმწიფოს, როგორც უფლებრივად ზემდგომი ორგანიზაციის ქვემდგომისთვის უფლებების ბოძების დოკუმენტი. იგი წარმოადგენს თანასწორუფლებიანი ორი იურიდიული პირის შეთანხმებას საკუთარი ქვეყნის მოქალაქეთა წინაშე პასუხისმგებლობის გადანაწილების შესახებ. ამგვარად, მასში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ ორივე მხარის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – საქართველოს პარლამენტისა და წმიდა სინოდის დამტკიცებით. ცვლილებისათვის საჭიროა, აგრეთვე, ორმხრივი ხელმოწერა, ანუ ცვლილების მომხრე უნდა იყოს როგორც სახელმწიფო, ისე ეკლესია. ამით იურიდიულად თავიდან იქნება აცილებული მთავრობის თვითნებური ქმედება ეკლესიის მიმართ.

3. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება ქვეყნის უმაღლესი იურიდიული ძალის დოკუმენტია კონსტიტუციის

შემდეგ. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ მის დასამტკიცებლად საჭიროა ორივე მხარის უმაღლესი პირის ხელმოწერა. ამგვარად, კონსტიტუციურ შეთანხმებას ხელს აწერენ: საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, ბატონი ედუარდ-გიორგი შევარდნაძე და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ილია II.

4. როგორც წინა პუნქტების კომენტარშიც აღინიშნა, შეთანხმების დასამტკიცებლად საჭიროა პარლამენტისა და წმიდა სინოდის მიერ მისი დამტკიცება. მართლაც, 2002 წლის 14 ოქტომბერს მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში ხელმოწერილი კონსტიტუციური შეთანხმება წმიდა სინოდმა დაამტკიცა ამავე წლის 17 ოქტომბერს, ხოლო საქართველოს პარლამენტმა – 22 ოქტომბერს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია (1995 წლის 24 აგვისტო)

2. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება (2002 წლის 14 ოქტომბერი)

3. საქართველოს პრეზიდენტის №1 ბრძანებულება "საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა უზრუნველმყოფ კომისიათა შექმნის შესახებ" (2003 წლის 7 იანვარი)

4. საქართველოს რესპუბლიკის კანონი "არსებული უქმე დღეების გაუქმებისა და ტადიციულის აღდგენის შესახებ" (1990 წლის 14 ნოემბერი)

5. დიდი სჯულისკანონი, თბ. 1975

6. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება (1995 წლის 19 სექტემბერი)

7. საქართველოს რესპუბლიკის კანონი "მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციისა" (1920 წლის 3 დეკემბერი)

8. საქართველოს რესპუბლიკის კანონი "საღვთო სჯულის სწავლების გაუქმებისა" (1918 წლის 26 ნოემბერი)

9. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. VI-VII , თბ. 1982-1984 წწ.

10. გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ. 2001 წ.

11. პ. ცნობილაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბ. 2002 წ.

12. მ. ცაცანაშვილი, სახელმწიფო და რელიგია, თბ. 2001 წ.

13. მ. ჯანაშვილი, საქართველოს საეკკლესიო ისტორია, ტფ. 1886 წ.
14. არქ. ნ. ყუბანეიშვილი, საღეთო სჯული, ქუთაისი, 1916 წ.
15. საქართველოს ეკლესიის 2003 წლის კალენდარი, საპ. გამ-ბა
16. დეკ. ა. მინდიაშვილი, სახელმწიფოებრივი კატეხიზმო, თბ. 2001 წ.
17. Конституция Российской Федерации
18. Το Σύνταγμα της Ελληνικής Δημοκρατίας

პატივცემულო მკითხველო!

იურიდიული ფირმა „ბონა კაუზა" დაარსების დღიდან სისტემატურად გამოსცემს ახალ წიგნებს სამართლის სხვადასხვა დარგში. ჩვენი ძალისხმევით არაერთმა საინტერესო გამოკვლევამ იხილა მზის სინათლე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „ბონა კაუზა" იქცა იურისტის ბიბლიოთეკის გამდიდრების საუკეთესო საშუალებად.

ქართული სამართლებრივი აზროვნების შემდგომი განვითარებისა და ნიჭიერ მეცნიერთა წახალისების მიზნით „ბონა კაუზა" სამართლის მკვლევარებს გთავაზობთ ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას.

● „ბონა კაუზა" უზრუნველყოფს იურისპრუდენციაში თქვენი სამეცნიერო ნაშრომების გამოცემას.

● წიგნები დაიბეჭდება ფირმის ფინანსური მხარდაჭერით. ავტორებს გადაეცემათ ჰონორარი.

მზად ვართ, განვიხილოთ აგრეთვე თქვენი წინადადებები თანამშრომლობის სხვა ფორმატთან დაკავშირებით.

● „ბონა კაუზა" გთავაზობთ წიგნების ოპერატიულ გამოცემას მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შეღავათიანი, ხელმისაწვდომი პირობებით.

დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე: ქ. თბილისი, რ. თაბუკაშვილის ქ. N12.

☎ 990 071 მობილური 8(99) 78 61 77

ქაღალდი ოფსეტური, ბეჭდვა რიზოგრაფზე
ქაღალდის ზომა 70X84 1\32
ფასი სახელშეკრულებო